№35(36) 6.09.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## ნომერშია:

### თითქოს პრობლემები გვაკლდეს

**სად უნდა წავიდნენ ჟურნალისტები, ან აწყობს ქართულ ფეხბურთს მათი „წასვლა"?**

მე-2 გვერდი

### წყალი, მზე, ქალები და... კატარღა

Poti '91

**იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბედნიერი კაცი**

## კითხვები. პასუხები?

ანბანური ჭეშმარიტებაა: დემოკრატია უწინარესად სიტყვის, პრესის თავისუფლებას გულისხმობს. სამოცდაათწლიანი ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის რღვევისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში საქართველოში შეიქმნა თავისუფალი, დამოუკიდებელი პრესის დამკვიდრების წინამძღვრები, დაარსდა ახალი ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ცდილობენ უერთგულონ დემოკრატიის პრინციპებს. ამ პერიოდის პირმშოა ჩვენი გაზეთიც — თავისუფალი სპორტული გამოცემა, რომელმაც შედარებით მოკლე დროში, შეზღუდული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიუხედავად, უკვე იპოვა თავისი ადგილი. სამწუხაროდ, საქმე იქითკენ მიდის, რომ „სარბიელის", ისევე როგორც სხვა დამოუკიდებელი გაზეთების გამოცემა ეჭვქვეშ დგება. ამგვარი დასკვნის გაკეთების საბაბს გვაძლევს ბოლოდროინდელი ამბები. მართალია, უკვე ხელთა გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, მაგრამ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და დემოკრატიული დოკუმენტის მიღებას დაემთხვა საქართველოს მთავრობის თხოვნა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისადმი ქაღალდის რესურსების მწვავე დეფიციტისა და პოლიგრაფიული საწარმოების გადატვირთვასთან დაკავშირებით ტირაჟის, ფორმატის ან პერიოდულობის ორჯერ შემცირების შესახებ. ამ დღეებში კი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე მოტივით მიიღო დადგენილება გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკა", „სოფლის ცხოვრება", „ახალგაზრდა ივერიელი", „რესპუბლიკა" გაუქმების და მათ ბაზაზე ერთი გაზეთის დაარსების თაობაზე.

ბუნებრივია,, ჩნდება კითხვები: ხომ არ ეწინააღმდეგება ეს გადაწყვეტილება ზემოხსენებული კანონის II თავის მე-2 მუხლის დებულებას — „არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია"? გაითვალისწინეს თუ არა რედაქციების კოლექტივების აზრი? ხომ არ ემუქრება უმუშევრობა გაუქმებული გაზეთების თანამშრომლებს? ხომ არ ჩნდება საფრთხე, რომ ცენტრალური გაზეთების ბედი გაიზიარონ თავისუფალმა გამოცემებმა? რა პოზიცია უჭირავს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირს? რა ღონისძიებებია დაგეგმილი ქაღალდის დეფიციტის აღმოსაფხვრელად?

იმედია ამ და სხვა კითხვებზე ზუსტ და კომპეტენტურ პასუხს მივიღებთ.

**გაზეთ „სარბიელის" რედაქცია**

### საქართველოს თასის გათამაშების 1 / 16 ფინალის პირველი შეხვედრების შედეგები:

| | |
|---|---|
| მერცხალი — მზიური | 4:3 |
| ამირანი — ბახმარო | 3:1 |
| კოლხეთი — გარეჯი | 1:0 |
| სულორი — შევარდენი | 1:1 |
| ქუთაისი — გორდა | 0:1 |
| ქართლი — გურია | 0:5 |
| იბერია — მრეტები | 2:1 |
| მარგვეთი — კოლხეთი-13 | 3:1 |
| ალაზანი — ბათუმი | 2:0 |
| შევარდენი-06 — ცხუმი | 1:5 |
| სამტრედია — არმაზი-90 | 2:2 |
| ერწუხი — ოდიში | 1:0 |
| საპოვნელა — დილა | 4:2 |
| არმაზი — დურუჯი | 1:1 |
| სამგურალი — სიონი | 1:2 |
| მაღაროელი — სალხინო | 3:1 |

**საპასუხო მატჩები ჩატარდება 26 სექტემბერს.**

### ეროვნული ჩემპიონატი
**IV ტური**

| | |
|---|---|
| დილა — მრეტები | 1:2 |
| გურია — ქუთაისი | 3:1 |
| შევარდენი-06 — მარგვეთი | 3:1 |
| კოლხეთი — გორდა | 0:0 |
| სულორი — ოდიში | 1:2 |
| მერცხალი — სამგურალი | 1:2 |
| სამტრედია — ცხუმი | 2:3 |
| მზიური — ალაზანი | 3:0 |
| იბერია — კოლხეთი-13 | 0:1 |
| ამირანი — ბათუმი | 2:1 |

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცხუმი | 4 | 4 | 0 | 0 | 13:5 | 12 |
| 2. გორდა | 4 | 3 | 1 | 0 | 10:0 | 10 |
| 3. გურია | 4 | 3 | 0 | 1 | 13:6 | 9 |
| 4. იბერია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| 5. ოდიში | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| 6. მზიური | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 9 |
| 7. კოლხეთი-13 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 8. მრეტები | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| 9. ქუთაისი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:9 | 6 |
| 10. სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| 11. ალაზანი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| 12. შევარდენი-06 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| 13. სულორი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| 14. სამტრედია | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| 15. დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| 16. ამირანი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| 17. მარგვეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| 18. კოლხეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:9 | 2 |
| 19. ბათუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| 20. მერცხალი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | 1 |

### TBILISI OLYMPIA 1992

ოთხშაბათს, ჟურნალისტურ-სპორტული ავტოექსპედიციის „თბილისი—ოლიმპია" საორგანიზაციო კომიტეტმა გამართა პრესკონფერენცია. დამსწრე ჟურნალისტებს პასუხი გაეცათ ექსპედიციისთვის მზადების თაობაზე. პრესკონფერენციები ამ თემაზე პერიოდულად ჩატარდება, რის თაობაზეც წინასწარ გაცნობებთ პრესის საშუალებით.

### თასების თასი
**წინასწარი წრე**
**II ტური**

„ტოტენჰემ ჰოთსპური" (ინგლისი) — „შტოკერაუ" (ავსტრია) 1:0 (პირველი მატჩი 1:0)
„ოდენსე" (დანია) — „გოლუეი იუნაიტედი" (ირლანდია) 4:0 (3:0)

### საერთაშორისო ამხანაგური მატჩები:

ესპანეთი — ურუგვაი 2:1, პორტუგალია — ავსტრია 1:1, შვეცია — იუგოსლავია 4:3, თურქეთი — აშშ 1:1.

## ...და ბიმონმა თავი დახარა



**8,95** მაიკ პაუელი (აშშ). ტოკიო. მსოფლიო ჩემპიონატი '91.




**8,90** ბობ ბიმონი (აშშ). მეხიკო. ოლიმპიური თამაშები '68.

მძლეოსნობის მოყვარულნი მთელ პლანეტაზე 23 წელიწადს ელოდნენ ამ გაელვებას. მას შემდეგ, რაც 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი ბობ ბიმონი 8 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა, ეს მსოფლიო რეკორდი მიმომხილველებმა უამრავი ეპითეტით მონათლეს. ექსპერტებმა მას უწოდეს „ნახტომი XXI საუკუნეში" და უკანასკნელ დრომდე განაგრძობდნენ ამ ფენომენალური მიღწევის ყველა შემადგენელი ნაწილის შესწავლას. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ბიმონის რეკორდის დამხობა შესაძლოა მხოლოდ მაღალმთიან მეხიკოს მსგავს პირობებში და ისიც მხოლოდ მომავალ საუკუნეში. ეს პროგნოზი მეოცე საუკუნის დამთავრებამდე ცხრა წლით ადრე დაიმსხვრა. ახლა მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში უდრის 8 მეტრსა და 95 სანტიმეტრს და იგი დაამყარა ამერიკელმა მაიკ პაუელმა 30 აგვისტოს, ტოკიოში.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სპეციალისტები თვლიდნენ, რომ მძლეოსნობის ამ სახეობაში გამარჯვებისთვის ძირითადად ამერიკელი ათლეტები შეეცილებოდნენ. პირველ რიგში ასახელებდნენ აღიარებულ ლიდერს კარლ ლუისს, შემდეგ მის უმთავრეს კონკურენტს ლარი მირიკს და მაიკ პაუელს, რომელიც შარშან შეიჭრა მსოფლიო ელიტაში. ვარაუდი გამართლდა: სამივე საპრიზო ადგილი ამერიკელებმა დაიკავეს, ოღონდ ოქროს მედალი წილად ხვდა მაიკ პაუელს.

როცა ერთი თვის წინ ამ 26 წლის კალიფორნიელმა სპორტსმენმა განაცხადა, რომ ტოკიოში „ოქროსთვის" მიემგზავრება, ზოგიერთმა ეს სიტყვები არასერიოზულად მიიღო. თუმცა, თვით სპორტსმენი თვლიდა, რომ მას ამისათვის მყარი საფუძველი აქვს. იმ დღეებში პაუელმა მოიგო დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც იტალიის მაღალმთიან კურორტ სესტრიერეში გაიმართა. მაშინ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ლუისსაც უნდა მიეღო (მას სეზონის საუკეთესო ნახტომი ჰქონდა — 8,64 სმ.), მაგრამ უკანასკნელ მომენტში კარლმა უარი განაცხადა გამოსვლაზე, რადგან ძლიერ ქარსა და წვიმაში ნატკენი წელის გაციებას მოერიდა.

გულდაწყვეტილი პაუელი დარჩა მთავარი მეტოქის გარეშე და განაგრძო ბრძოლა საკუთარ თავსა და ... ცუდ ამინდთან. ერთ-ერთი ნახტომის დროს იგი დაეშვა ცხრა მეტრის ნიშანთან, მაგრამ მსაჯებმა დააფიქსირეს, რომ მან ოდნავ დააბიჯა ასარეკ ზოლს. ამ ტურნირზე მაიკის ყველაზე შორი „სუფთა" ნახტომი უდრიდა 8,73 სმ-ს.

— კარლის არყოფნამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. იგი რომ გამოსულიყო, მსოფლიო რეკორდი დაემხობოდა. ის, რაც დღეს არ გაკეთდა, ტოკიოში ცხადად იქცევა. მე უდიდეს პატივს ვცემ ლუისს, მაგრამ მისი არ მეშინია და შევეცდები მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეული კონკურენცია გავუწიო მას, — უთხრა მაშინ ჟურნალისტებს პაუელმა.

...ეს იყო ორი დიდი სპორტსმენის (დღეს პაუელი სავსებით იმსახურებს ამ ეპითეტს) დიდი დუელი. ფინალში მათი შედეგები ყოველი ნახტომის შემდეგ სულ უფრო იზრდებოდა, რასაც ტრიბუნები აღტაცებაში მოჰყავდა. აღსანიშნავია, რომ ამ სპორტის ისტორიაში შვიდიდან ხუთი ყველაზე შორი ნახტომი სწორედ ტოკიოში შედგა. მესამე ცდაში ლუისმა 8 მ. და 88 სმ, „იფრინა" და ალბათ ბევრმაც გაიფიქრა, რომ ეს უკვე ჩემპიონის ნახტომი იყო. როგორც ჩანს თვით სპორტსმენი არ დასჯერდა ამ შედეგს. მას სარეკორდო ნახტომი სწყუროდა და ოცნებობდა გაეკეთებინა ის, რაც სპრინტში შესძლო: ზედიზედ მესამედ მოეგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და მან თითქმის შესძლო კიდეც ამის გაკეთება: როცა მეოთხე ნახტომის შემდეგ იგი დაეშვა ქვიშაზე, ტრიბუნებმა იფეთქეს — ელექტროტაბლოზე 8 მ და 91 სმ აინთო! მაგრამ ეიფორია დიდხანს არ გაგრძელდა. ელექტრონულმა ტექნიკამ ხტომის დროს დააფიქსირა, რომ ქარის სიჩქარე აღემატებოდა დაშვებულ ნორმას (2,9 მ წმ.) და კარლს რეკორდი არ ჩაეთვალა.

რაც შეეხება პაუელს, იგი აჩრდილივით მისდევდა ლუისს, მისი რამდენიმე ცდა საკმაოდ კარგი გამოდგა, ოღონდ იმდენად არა რომ მას ლუისისთვის გაესწრო. მაგრამ კულმინაციურ მომენტში მაიკლმა გამოავლინა საუცხოო ნებისყოფა და

(იხილეთ მე-2 გვ.)



„შევარდენი-90“ — „მარგვეთი“ 3:1

# გამარჯვებული მეკარე

ბოლო ოცდასამ შეხვედრაში დაუმარცხებელი თბილისის „იბერია“ შინ დამარცხდა ფოთის „კოლხეთი-13“-თან, რომელმაც ჯერ კიდევ პირველი ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში გამოუჩინა მას „კლანჭები“. მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, „კოლხეთისა“ და ეროვნული ნაკრების მეკარეს, მამუკა გვასალიას.

**— მამუკა, რამ განაპირობა თქვენი დღევანდელი წარმატება?**

— ეროვნული ჩემპიონატების ისტორია იმით დაიწყო, რომ ჩვენ „იბერია“ დავამარცხეთ თბილისში. ამდენად კარგად ვიცოდით, რომ დაუმარცხებელი გუნდი არ არსებობს. შიშს მეტოქის წინაშე არ განვიცდიდით და ჩვენი გონება მხოლოდ და მხოლოდ თამაშის სწორად წარმართვისკენ იყო მიმართული.

**— გამარჯვებას ელოდით?**

— ამას ვერ ვიტყვი.

**— როდის იგრძენით, რომ საქმე მოგებისკენ მიდიოდა?**

— პირველ ტაიმში ჟაველაშვილის „ძნელი“ დარტყმა მოვიგერიე და მაშინ ვიგრძენი, რომ დღეს გოლს არ გავუშვებდი.

**— ესე იგი, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— როგორ გითხრათ... რამდენიმე შეცდომა მაინც დავუშვი.

**— ეს გამარჯვება „კოლხეთზე“ ფსიქოლოგიურ გავლენას თუ იქონიებს?**

— ვფიქრობ, რომ იქონიებს. სეზონი მთლად ხეირიანად ვერ დავიწყეთ და ცოტა გულგატეხილნი ვიყავით, ახლა კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი

# ვერდიქტი

ფედერაციის სადისციპლინო კომისიის გაფართოებული სხდომის მთავარი საკითხი იყო ქუთაისში, ადგილობრივი კლუბისა და თბილისის „იბერიის“ შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტი. განაჩენი — სტადიონის დისკვალიფიკაცია პირველი წრის ბოლომდე, და ჯარიმა 20 000 მანეთი. გუნდი ამ პერიოდში შინ ვერ ჩაატარებს სათასო შეხვედრებსაც. „ქუთაისს“ ჩაეთვალა წაგება — 0:3. სხდომას ქუთაისელთა მხრიდან ესწრებოდნენ კლუბის პრეზიდენტი, ტექნიკური დირექტორი, ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე და საკრებულოს წარმომადგენელი. მათ შეხვედრის ცუდი ორგანიზაციისთვის მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეს და მადლობა გადაიხადეს, რადგან უფრო მკაცრ სასჯელს ელოდნენ. ფედერაციამ კლუბის ხელმძღვანელებისგან მოითხოვა უმოკლეს დროში იმ ქალაქების დასახელება, სადაც ისინი მატჩებს გამართავენ. ქუთაისელთა წინადადება, ჩაატარონ შეხვედრები ტყიბულში, უარყვეს. მათ აგრეთვე თქვეს, რომ უახლოეს ხანში აპირებენ შეხვედრას გულშემატკივრებთან და ფედერაციის თანამშრომლებს თხოვეს ამ შეხვედრაზე დასწრება. აღინიშნა, რომ რამოდენიმე ხულიგანის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

სხდომაზე განიხილეს სხვა დარღვევებიც. ხობელ კაციტაძეს და ოჩამჩირელ დოჩიას მსაჯის გინებისათვის ხუთ-ხუთი მატჩით აუკრძალეს თამაში და დააჯარიმეს 1000 მანეთით თითოეული.

ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა სადისციპლინო კოდექსის ზოგიერთი მუხლი და საგრძნობლად გაამკაცრა.

# ჟურნალისტებო, წადით აქედან!

როგორც ჩანს, ქუთაისის ინციდენტის შემდეგ სტადიონებზე წესრიგს მეტი ყურადღება დაეთმობა. ყოველ შემთხვევაში, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე „იბერიისა“ და ფოთის „კოლხეთის“ მატჩს ესწრებოდა მილიციელთა ჯგუფი, რომელმაც თამაშის მიწურულს გასახდელებისკენ მიმავალი ყველა გზა გადაკეტა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სტადიონზე აყალმაყალი ჯერ არ მომხდარა და ამ შეხვედრის ბოლოსაც მაყურებელმა ფოთელი ფეხბურთელები ტაშით გააცილა, სტადიონზე წესრიგის დამცველთა ყოფნა მისასალმებელია, თუმცა მეტისმეტი არაფერი ვარგა. საქმე ის გახლავთ, რომ მატჩის შემდეგ გასახდელებთან მისვლა პრობლემა აღმოჩნდა სპორტული ჟურნალისტებისთვისაც, არადა ისინი რომ სტადიონზე სამუშაოდ მიდიან და არა გასართობად, ანბანური ჭეშმარიტებაა. მიუხედავად „ყოვლისშემძლე“ საშვებისა, რომელთაც დიდი ასოებით აწერიათ „პრესა“ და „ყველგან გასასვლელი“, ასეთი პასუხი მივიღეთ:

— მერე რა რომ ჟურნალისტები ხართ, წადით აქედან.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საბოლოოდ მაინც შევაღწიეთ გუნდებთან და ჩვენ-ჩვენი საქმე გავაკეთეთ, მაგრამ ადამიანს ფაქტობრივად სამსახურში შესვლაზე ნერვიულობა არ უნდა დაჭირდეს. ვიმედოვნებთ, რომ სტადიონის დირექცია გაითვალისწინებს ჩვენს თხოვნას და წესრიგის დაცვასთან ერთად, ჟურნალისტებს ნორმალური მუშაობის პირობებს შეგვიქმნის.

და ბოლოს, თითქოს აქ არაფერ შუაშია, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ფაქტი. მატჩის შემდეგ ფოთელებთან მივიდა „იბერიის“ ტექნიკური დირექტორი დავით ყიფიანი და მოწინააღმდეგე გუნდს კარგი თამაში და გამარჯვება მიულოცა. ღმერთმა ქნას, ასეთი ჯენტლმენობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს ჩვენს ფეხბურთში.

ილია ბაბუნაშვილი

## მძლეოსნობა



stadion

მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი, უძლიერესი მძლეოსანი კარლ ლუისი (აშშ).

# ...და ბიმონმა თავი დახარა

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

მთელი თავისი ძალა ჩააქსოვა მეხუთე ნახტომში. ეს იყო ფანტასტიკური გაელვება, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი მოუტანა სპორტულ სამყაროს — 8 მ 95 სმ!!! მაიკმა თავისი დაპირება შეასრულა. მან დაამხო მძლეოსნობაში ამ დღისთვის ყველაზე „ხანდაზმული“ მსოფლიო რეკორდი, გაუსწრო დროს და თვით ბიმონსაც დაახრევინა თავი. ამიერიდან ექსპერტები შეუდგებიან „პაუელის ფენომენის“ შესწავლას. როდემდე?

ყველაზე ადრე მიულოცა გამარჯვება კარლმა, რომელმაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პირველად განიცადა დამარცხება სიგრძეში ხტომაში, თანაც ტოკიოს ჩემპიონატამდე ლუისს მოგებული ჰქონდა ყველა 15 ტურნირი, რომელშიც ისინი ასპარეზობდნენ ერთმანეთის პირისპირ.

ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატმა კიდევ ბევრი დასამახსოვრებელი ეპიზოდი დაუტოვა სპორტის მოყვარულებს. გავიხსენოთ რამდენად დრამატული გამოდგა ჭოქით მხტომელთა ასპარეზობა და რა კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მსოფლიოს რეკორდსმენი სერგეი ბუბკა. მხოლოდ ბოლო ცდაში დასძლია მან 5 მ 95 სმ და გამოსტაცა გამარჯვება ახალგაზრდა უნგრელ სპორტსმენს იშტვან ბადიულას (5,90).

ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკებზე მოხდა ერთი არაორდინალური ფაქტი. 100 და 200 მეტრზე ქალთა რბენაში საპრიზო ადგილები დაიკავეს ერთი და იგივე სპორტსმენებმა, ანალოგიური მიმდევრობით: კატრინ კრაბე (გერმანია), გლენ ტორენსი (აშშ) და მერლინ ოტი (იამაიკა).

ჩემპიონატის დასკვნითმა დღემ მოგვიტანა კიდევ ერთი, ამ ტურნირისათვის რიგით მესამე, მსოფლიო რეკორდი. ამერიკელთა კვარტეტმა ანდრე კესონის, ლეროი ბარელის, დენის მიტჩელის და კარლ ლუისის შემადგენლობით 4X100 ესტაფეტაში მართლაც რომ ფანტასტიკური შედეგი აჩვენა — 37,50. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე მკაფიო ფიგურა [illegible] კარლ ლუისი იყო. იგი მეოთხე ეტაპზე მირბოდა, უფრო სწორად, მი[illegible]და, ისევე, როგორც რამდენიმე დღის წინ, როცა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 რბენაში.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი — ათი ოქროს მედალი მოიპოვა აშშ-ის გუნდმა, ამის გარდა ამ ქვეყნის სპორტსმენებმა მოაგროვეს კიდევ 8-8 ვერცხლის და ბრინჯაოს ჯილდო (სულ 26). 28 მედალი წილად ხვდა სსრკ-ის ნაკრებს (9+9+10), გერმანიის ათლეტთა აქტივშია 17 ჯილდო (5+4+8).

შალვა შალოლაშვილი

## გულშემატკივრის ცნობარი

31

(გაგრძელება)

ეს იყო აქტიური შემოქმედებითი ძიების პერიოდი. გერმანიაში იხსნება ეგრეთ წოდებული კაცთმოყვარეობის სკოლები, ანუ „ფილანტროპინები“. გერმანული ტანვარჯიშის ფუძემდებელი ვ. იანი პირველად იყენებს ძელს, ორძელს, რგოლებს. თავის ტანვარჯიშს იანი „ტურნსუსტს“ უწოდებს, რაც „მოხერხებულობის ხელოვნებას“ ნიშნავდა.

ამ დროს შვეციაში პოპულარობას იხვეჭს პ. ლინგის ჰიგიენური ტანვარჯიში. სხვათა შორის, ლინგის ვაჟმა, რომელიც თავისი სახელოვანი მამის კვალს გაჰყვა, სპეციფიკური



რომაელი ტანმოვარჯიშეები. III საუკუნე.

ფიზიკური ვარჯიშებისთვის გამოიგონა ორიგინალური იარაღი, შემდგომში „შვედური კედლის“ სახელით რომ გახდა ცნობილი.

საფრანგეთში ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროს არსებობდა ჭაბუკთა ტანვარჯიშული ბატალიონები. შემდგომში მათს საფუძველზე შეიქმნა ბუნებრივ-გამოყენებითი ტანვარჯიშის საკმაოდ მწყობრი მეთოდი. ფრანგმა პოლკოვნიკმა ამოროსმა ამ მეთოდის განზოგადების შედეგად ჩამოაყალიბა ტანვარჯიშული სკოლა, რომელიც, ფაქტობრივად, სხვა არაფერი იყო, თუ არა სამხედრო სამსახურისთვის მამაკაცთა მომზადების უნივერსალური სისტემა.

ჩეხოსლოვაკიაში ფეხს იკიდებს სოკოლისტური ტანვარჯიში. მისი შემქმნელი გახლდათ პრაღის უნივერსიტეტის ესთეტიკის პროფესორი მ. ტირში. სოკოლისტური ტანვარჯიშის უმთავრესი თავისებურება მასობრიობა იყო. ამავე დროს სოკოლის შეჯიბრებები გამოირჩეოდა ვარჯიშთა შესრულების სიზუსტით და სინქრონულობით.

როცა ტანვარჯიშის ისტორიაზე გვაქვს საუბარი, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ფიზიკური აღზრდის გამოჩენილი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის, დიდი გერმანელი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის იოჰან ქრისტოფორ გუტს-მუტსის (1759-1839) დიდ დამსახურებას. მან ბევრი და მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, მაგრამ მისი შემოქმედების გვირგვინად ითვლება წიგნი-ტრაქტატი „გიმნასტიკა მოზარდებისთვის“. ამ წიგნში დიდი მეცნიერული სიღრმითა და ორიგინალური მიგნებებით არის დასაბუთებული ტანვარჯიშის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, აგრეთვე, აღწერილია ცალკეული ვარჯიშები და მათი შესრულება-გამოყენების მეთოდიკა.

გუტს-მუტსი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სპორტის დარგის უნივერსალური მკვლევარი იყო. მას დაწერილი აქვს სახელმძღვანელო მოცურავეთათვის, მეთოდური რჩევები სპორტულ თამაშებში. მისი ნაშრომების მიხედვით ასწავლიდნენ ტანვარჯიშს. არა მარტო გერმანულენოვან სახელმწიფოებში, არამედ სხვა ქვეყნებშიც,

ფაქტობრივად მთელს ევროპაში. ნიშანდობლივია, რომ ამ პროგრესული მოაზროვნის იდეებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

უშუალოდ სპორტული ტანვარჯიშის წინაპრად ზოგიერთი მოაზროვნე არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევს XVI-XVII საუკუნეებში ფართოდ გავრცელებულ ვოლტიჟირებას, ჭოკსა და კედელზე ცოცვას, მუშაითობას. გერმანული ტანვარჯიშული მოძრაობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ფრიდრიჰ ლუდვიგ იანმა (1778-1852) საგრძნობლად გაამდიდრა და გააფართოვა გიმნასტიკის სფერო უმთავრესად ახალი იარაღებისა და ვარჯიშების გამოგონებით და გარკვეულ წილად საფუძველი ჩაუყარა სპორტული ტანვარჯიშის სისტემას დღევანდელი გაგებით. მაგრამ იანის დამსახურება გახლდათ ისიც, რომ იგი გიმნასტიკას განიხილავდა არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც აღზრდისა და განათლების საშუალებას.

1811 წელს ბერლინის მახლობლად იანმა ააგო მსოფლიოში პირველი ტანვარჯიშული მოედანი, ხოლო ხუთიოდე წლის შემდეგ თავის მოწაფესთან ე. აიზელენთან ერთად გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „გერმანული ტანვარჯიში“, რომელსაც დიდი რეზონანსი ჰქონდა მთელს გერმანიაში. 1820 წელს პრუსიის რეაქციულმა მთავრობამ გამოაცხადა „ტანვარჯიშული ბლოკადა“, რომელიც 1842 წლამდე გაგრძელდა და რომელმაც საგრძნობლად დააბრკოლა ამ სპორტის განვითარება მთელს ევროპაში. ბლოკადის გაუქმების შემდეგ სპორტული ტანვარჯიში სწრაფად ვრცელდება ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, ნორვეგიასა და შვეციაში.

გუტს-მუტსისა და იანის პირველ გიმნასტიკურ ნაგებობებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღია ტანვარჯიშული მოედნები წარმოადგენდა, მაგრამ მათ კარგად ესმოდათ, რომ ტანვარჯიშის პოპულარიზაციას დახურული დარბაზები უფრო შეუწყობდა ხელს, ვინაიდან იქ ვარჯიში მთელი წლის მანძილზე შეიძლებოდა.

პარადოქსია, მაგრამ პირველი დახურული დარბაზი გერმანიაში (და, მაშასადამე, მსოფლიოში) სწორედ



აკრობატული ნახტომები. XVI საუკუნე

„ტანვარჯიშული ბლოკადის“ პერიოდში აშენდა. 1846 წელს მაინის ფრანკფურტში აიგო დიდი და კომპლექსური ტანვარჯიშული დარბაზი. მას მოჰყვა ასევე პირველი სასკოლო დარბაზი (1851-1852 წწ.), რომელსაც შემდგომში სამართლიანად უწოდებდნენ ტანვარჯიშის სპორტის სასახლეს.

ტანვარჯიშული იარაღების ისტორია მთელი ტანვარჯიშის ისტორიის ნაწილია და, ამდენად, მჭიდრო კავშირშია მისი განვითარების ეტაპებთან. მით უმეტეს, რომ თითოეულმა საკმაოდ საინტერესო „ცხოვრებისეული გზა“ განვლო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲬᲧᲐᲚᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ

**ფოთში, წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებზე არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა კაცი, რომელიც არასოდეს დამდგარა წყლის თხილამურებზე. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გახდა ოქროს ტბაზე გამართული ზეიმის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი. ეს არის კატარღის პილოტი შვეიცარიელი ჰაინც რიჩარდი.**

**ამ 48 წლის ცისფერთვალება, თმაჭაღარა, მაღალმა, გამხდარმა და ამავე დროს ათლეტური აღნაგობის მამაკაცმა მაშინვე მიიპყრო საერთო ყურადღება თავისი უშუალობით, კეთილმოსურნეობით და თავაზიანობით. ოდნავ წელში მოხრილი, მხარზე გადაკიდული განუყრელი ჩანთით იგი არავისთვის არ იშურებდა სალამს, სიამოვნებით არიგებდა ავტოგრაფებს. ასევე მალე მოშინაურდა ჟურნალისტთა შორის და მაშინვე დათანხმდა ინტერვიუზე.**

— ო, ეს მართლაც საინტერესო იქნება, ვნახოთ რა გამოგვივა, — ღიმილით გვითხრა ჰაინც რიჩარდმა, როცა სასტუმრო „ოქროს ტბის" მესამე სართულის ჰოლში რბილ სავარძლებში მოვთავსდით.

ახალ ქვეყანას, გავიცანი ახალი ადამიანები. საქართველო ისეთივე პატარა ქვეყანაა, როგორიც ჩემი მშობლიური შვეიცარია და ისეთივე ლამაზი. ჩვენი ხალხი ძალიან წააგავს ერთმანეთს თავისი გულუხვობით, კეთილმოსურნეობით, სითბოთი.

# ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ



გია ახალაძის ფოტო

ჰაინც რიჩარდი

**— თქვენ ყოველთვის კარგ გუნებაზე ხართ, ეს იშვიათი თვისებაა...**

— მე ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ეს ძალიან მეხმარება ცხოვრებაში....

**— თქვენი ცხოვრება მუდამ სპორტთან იყო დაკავშირებული?**

— წყალთხილამურებით სერიოზულად იყო გატაცებული ჩემი უფროსი ძმა კუნო. მე მივბაძე მას, მაგრამ კუნომ უფრო მეტს მიაღწია, მაღალი კლასის სპორტსმენი იყო. ისე რომ სპორტისადმი სიყვარული ჩვენ ყმაწვილობიდან ჩაგვენერგა. სხვათა შორის, კუნოც ჩამოვიდა და აქ მსაჯთა კორპუსს წარმოადგენს.

**— შეიძლება ითქვას, თქვენი გზები გაიყო: ძმა ხმელეთზეა, თქვენ კი წყალზე...**

— (იცინის) მე კატარღას მივუჯექი, როცა 17 წლისა ვიყავი. ძმას ვეხმარებოდი ვარჯიშის დროს. ჩემმა პილოტის სტაჟმა უკვე ოთხ ათეულ წელს მიაღწია.

**— არასოდეს გინანიათ, რომ შეიცვალეთ პროფილი?**

— არა. მე მომწონს ჩემი საქმე. ისე აბა რა გამაძლებინებდა ამდენ წელს. გარდა ამისა, ეს მაძლევს საშუალებას უფრო გავიხანგრძლივო ჩემი ცხოვრება სპორტში. მე ყოველთვის მოვლენათა ცენტრში ვიმყოფები, ბევრს ვმოგზაურობ, მრავალი მეგობარი შევიძინე. ვფიქრობ, დრო ტყუილად არ დამიკარგავს.

**— თქვენ პროფესიონალ პილოტად ითვლებით?**

— თხუთმეტი წლის წინ წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ თავისი ოფიციალური სტატუსი მომანიჭა. მას შემდეგ მოვემსახურე ხუთ მსოფლიო ჩემპიონატს, რვა ევროპის ჩემპიონატს და ორმოცდაათამდე დიდ საერთაშორისო ტურნირს.

**— გამოდის რომ ფოთში თქვენ გაამდიდრეთ პირადი ნუსხა?**

— ასე გამოდის. მე ვეწვიე ჩემთვის ყოველივე ეს პირადად ვიგრძენი.

**— შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ტყუილად არ გამოგივლიათ ესეოდენ შორი მანძილი.**

— მე სულაც არ ვნანობ ამას. იმიტომ, რომ გაცნობა ყოველივე ახალთან მე მამდიდრებს როგორც ადამიანს.

**— და ამაში თქვენ გეხმარებათ თქვენი საქმე?**

— კატარღის პილოტობა არ არის ჩემი მთავარი პროფესია, ეს ჩემი ჰობია, რომელიც დიდი სიხარულს მანიჭებს. ბაზელში, სადაც მე ვცხოვრობ, მაქვს საკუთარი ათლეტიზმის კლუბი. იგი არის ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყარო.

**— ჩვენ გვსმენია, რომ კატარღის პილოტებს კარგ ჰონორარს უხდიან?**

— სხვათა შესახებ რა მოგახსენოთ, მე კი მხოლოდ მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს მინაზღაურებენ. საკმაოდ შეძლებული კაცი ვარ და ხანდახან ვეხმარები კიდეც ფინანსურად ჩვენ ფედერაციას.

**— ბევრია მსოფლიოში საერთაშორისო ფედერაციის ლიცენზიის მქონე პილოტი?**

— დაახლოებით თხუთმეტი კაცი იქნება. ყველა მათგანი უმაღლესი კლასის პილოტია.

**— რა განსაკუთრებული თვისება უნდა გააჩნდეს პილოტს?**

— ახალგაზრდობის გატაცება ძალიან მეხმარება დღეს. მე ვიცი ამ სახეობის ყველა ნიუანსი, სპორტსმენის განცდები, რაც ხელს მიწყობს ტრასაზე. პილოტი მუდამ მაქსიმალური ყურადღებით უნდა იყოს. კატარღის სიჩქარე ვაჟებისთვის არ უნდა აღემატებოდეს 58 კილომეტრს საათში. მევალდებული ვარ ყოველთვის შევინარჩუნო იგი, რათა ყველა თანაბარ პირობებში იყოს.

**— მაგრამ შეცდომები ალბად მაინც ხდება?**

— პილოტს ამის უფლება არა აქვს.

**— აქ ფოთში, რამდენიმე მხტომელი დაეცა. ამაში ვის მიუძღვის ბრალი?**

— თვით სპორტსმენებს. მე უშეცდომოდ შევასრულე ჩემი მოვალეობა და ჩემთან პრეტენზიები არავის არ ჰქონდა.

**— პირადად თქვენ თუ გქონდათ რაიმე პრობლემა ოქროს ტბაზე?**

— ტრასა ყველგან ერთი და იგივეა. სხვა საქმეა, რომ უნდა შეეჩვიო ახალ გარემოს. ფოთში ერთმა რამ გამაოცა: ამდენი მაყურებელი წყალმოთხილამურეთა შეჯიბრებებს არ ახსოვს. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების დროს თუ მინახავს. ნაპირზე ზღვა ხალხი რომ დავინახე, ცოტა რა იყოს დავიბენი კიდეც...

**— რა გამოდის, სხვებზე ნაკლები ენერგია არ გეხარჯებათ, ტრიუმფატორები კი სხვები ხდებიან. გული არ გწყდებათ?**

— მე მიხარია, როცა სპორტსმენებს კარგი ნაბტომები გამოსდით. მართალია ტაშს მათ უკრავენ, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ მათ წარმატებებში ჩემი პატარა წვლილიც არის. ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, როცა სპორტსმენები მადლობას მიხდიან. ისე კი, მსოფლიოსა თუ ევროპის მრავალი რეკორდის თანაავტორი ვარ.

**— თუ შეიძლება გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ?**

— მყავს ცოლ-შვილი. ჩემი ვაჟი ოცი წლისაა, იგი სამთოთხილამურებით არის გატაცებული. საერთოდ სერიოზული ყმაწვილია. სამწუხაროდ, ახლა ბევრი ახალგაზრდა ჩათრეული ნარკომანიის ჭაობში, საკუთარი ხელით ღუპავენ თავის მომავალს. მე მიხარია, რომ ჩემი შვილი შორსაა ამ სენისგან.

**— მოგზაურობა, ტურნირები, სამსახური, თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?**

— ჩემი თავისუფალი დრო — ჩემი ჰობია. ბევრი მეგობარი შევიძინე, მიხარია მათთან შეხვედრა, მათ შორის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებიც (იცინის). საერთოდ ლამაზი ქალების მიმართ გულგრილი არა ვარ. ცოლი მპატიებს ამ ჩემს სისუსტეს. ისე კი, ჩვენ დიდი მეგობრები ვართ.

**— დასავლეთში თქვენი ყაიდის ადამიანს „ფლეი-ბოის" ეძახიან...**

— არა, მე უბრალოდ ბედნიერი კაცი ვარ. მყავს კარგი ოჯახი, საიმედო სამსახური, საყვარელი ჰობი, მეგობრები. აქ, ფოთში შემემატა ახალი ნაცნობები. განა არ კმარა?

**— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფოთიდან კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნდებით შინ?**

— ბოლომდე ვიქნები გულახდილი. პირველი შთაბეჭდილება საშინელი იყო. ნომრიდან დერეფანში გამოვვარდი და ვიყვირე: ახლავე უკან ვბრუნდები მეთქი.

**— რამ გამოიწვია თქვენი აღშფოთება?**

— ელემენტარული კომფორტის უქონლობამ. ასეთ მოუწყობელ ნომრებში და თანაც უწყლოდ, ჯერ არსად მიცხოვრია. მაგრამ როცა დილით ტბაზე გავედი, ჩემში ყველაფერი გადაბრუნდა; მე დავინახე ბრწყინვალე კომპლექსი, სადაც საუცხოო საწვრთნელი და საშეჯიბრო პირობებია. ოღონდ უნდა იფიქროთ კომფორტის გაუმჯობესებაზე. მაშინ ოქროს ტბას დიდი მომავალი ელის.

**— სამწუხაროა, რომ ასეთ არასასიამოვნო ნოტაზე გვიწევს საუბრის დამთავრება?**

— ყოველივე მიიღეთ, როგორც მეგობრის რჩევა. რაც შემეხება მე, მზად ვარ კვლავ ჩამოვიდე ფოთში. თქვენ ოღონდ დამიძახეთ...

...ჰაინც რიჩარდს მაინც ერგო თავისი წილი აპლოდისმენტები. მას შემდეგ, როცა ჩემპიონატის პროგრამა დასრულდა, მან მაყურებლებს უჩვენა თავისი ნამდვილი ოსტატობა კატარღაზე საოცარი ტრიუკების კასკადი დაატრიალა. სწორედ ამას ჰქვია უმაღლეს პილოტაჟი...

ესაუბრნენ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲐᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔ.

## XII ᲔᲢᲐᲞᲘ (8 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ)

### Ი Ტ Ა Ლ Ი Ა




1990—ᲐᲘᲠᲢᲝᲜ ᲡᲔᲜᲐ (ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ)
1989—ᲐᲚᲔᲜ ᲞᲠᲝᲡᲢᲘ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ)
1988—ᲒᲔᲠᲰᲐᲠᲓ ᲑᲔᲠᲒᲔᲠᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ)
1987—ᲜᲔᲚᲡᲝᲜ ᲞᲘᲙᲔ (ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ)
1986—ᲜᲔᲚᲡᲝᲜ ᲞᲘᲙᲔ (ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ)

20-იან წლებში, მილანის მახლობლად სამეფო პარკში აგებულ მონცას ავტოდრომზე ხშირი იყო ავარიები, რომლებმაც ათეულობით პილოტის სიცოცხლე შეიწირა. ამ ჩქაროსნულ ტრასაზე განსაკუთრებით ვერაგია ერთ-ერთი ურთულესი მოსახვევი „პარაბოლიკა". ყველაზე მეტად სწორედ იქ ხდებოდა კატასტროფები. მონცაში უკანასკნელად 13 წლის წინათ დატრიალდა ტრაგედია. სტარტიდან სულ რამდენიმე წამის შემდეგ დიდი სიჩქარით მიმავალი ათამდე მანქანა ერთმანეთს დაეჯახა. რამდენიმე პილოტმა სერიოზული ტრავმა მიიღო, 34 წლის შვედი რონი პეტერსონი კი იმავე დღეს, მილანის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. ამ საშინელი შემთხვევის შემდეგ მონცას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ნაკლებად სახიფათო გახდა. იქ უპირატესობა მძლავრი ძრავიანი ბოლიდების მხარესაა, რომლებიც ზოგიერთ სწორ მონაკვეთზე 350 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებენ.



ჯერ კიდევ ფორმულა 1-ის გარიჟრაჟზე, 1950 წელს, პირველ ჩემპიონატში იტალიელმა ჯუზეპე ფარინამ „ალფა რომეოთი" იმ დროისთვის გასაოცარი სიჩქარე განავითარა — 176,5 კმ/სთ.

ტრასის რეკორდი ამჟამად ბრაზილიელ აირტონ სენას ეკუთვნის. შარშან მისმა „მაკლარენმა" 5,8 კმ სიგრძის წრე 242,083 კმ/სთ სიჩქარით გაიქროლა. სულ რბოლისას პილოტებს 53 წრის გავლა უხდებათ, რაც ჯამში 307,4 კმ-ს შეადგენს.

80-იან წლებში მონცაზე ყველაზე დიდ წარმატებას მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ მიაღწია — მან ოთხჯერ შესძლო იტალიის „გრან პრის" მოგება.

ბოლო დროს საკუთარ ტრასაზე აშკარად არ წყალობს ბედი იტალიელ პილოტებსაც და მანქანებსაც. მხოლოდ ერთხელ, 1988 წელს მივიდა ფინიშთან პირველი „ფერარი", რომელსაც ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი მართავდა.

## ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

### ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

**მსოფლიო ჩემპიონატი. ტოკიო. ვაჟები. 10 000 მ. 1.მ.ტანუი — 27.38,74; 2.რ.ჩელიმო (ორივე—კენია) — 27.39.41; 3.ხ.სკახი (მაროკო) — 27.41,74. სამხტომი. 1.კ.ჰარისონი (აშშ) — 17,78 (სეზონის საუკეთესო შედეგი); 2. ლ.ვოლოშინი (სსრკ) — 17.75; 3.მ.კონლეი (აშშ) — 17,62. შუბი. 1.კ.კინუნენი 90,82; 2.ს.რეტი (ორივე—ფინეთი) — 88,12; 3.ვ.სასიმოვიჩი (სსრკ). 87,08. ქალები. 800 მ. 1.ლ.ნურუტდინოვა (სსრკ) — 1.57,50; 2.ა.კიროტი (კუბა) — 1,57.55; 3.ე.კოვახი (რუმინეთი) — 1.57,58. 3000 მ. 1. ტ.დოროვსკიხ-სამოლენკო — 8.35,82; 2. ე.რომანოვა (ორივე — სსრკ) — 8.36,06; 3. ს.შირმა (კენია) — 8.39,41. ვაჟები. 200 მ. 1. მ.ჯონსონი (აშშ) — 20,01; 2. ფ.ფრედერიკი (ნამიბია). 20,34; 3.ე.მაზორინი (კანადა) —20,49. 800 მ. 1. ბ.კონჩელახი (კენია) — 1.43,99; 2. ჟ.—ლ.ბარბოზა (ბრაზილია) — 1.44,24; 3.მ.კვერეტი (დიდი ბრიტანეთი) — 1.44,67. 400 მ. თარჯბენი. 1. ს.მატეტე (ზამბია) — 47,64; 2. ზ. გრეჰემი (იამაიკა) — 47,74; 3. კ. აკაბუსი (დიდი ბრიტანეთი) — 47,86. ბირთი. 1. ლ.რიდელი (გერმანია) — 66,20; 2. ე.დე ბრიუინი (ჰოლანდია) — 65,82; 3. ა.ხორვატი (უნგრეთი) — 65,32. ქალები. 100 მ. 1.კ.კრაბე (გერმანია) — 10,99; 2. გ.ტორენსი (აშშ) — 11,03; 3. მ.ოტი (იამაიკა) — 11,06. 400 მ. 1. მ.-ჟ.პერესი (საფრანგეთი). 49,13; 2. გ.ბროიერი (გერმანია). 49,42 (მსოფლიო რეკორდი იუნიორებში); 3. ს.რაიერსი (ესპანეთი) — 49,78. შვიდჭიდი. რ.ს. ბრაუნი (გერმანია) — 66,72; 2. ლ.ნასტასე (რუმინეთი) — 64,93; 3. ი.ბელოვა (სსრკ) — 6448. ვაჟები. 400 მ. 1. ა.პეტიგრიუ (აშშ) — 44,57; 2. რ.ბლეკი (დიდი ბრიტანეთი) — 44,62; 3. დ.ევერეტი (აშშ) — 44,63. 110 მ.თარჯრბენი. 1. გ.ფოსტერი — 13.06; 2. დ.პირსი (ორივე აშშ). 13.06; 3. ტ.ჯარეტი (დიდი ბრიტანეთი) — 13,25. ჭოკი. 1. ს.ბუბკა (სსრკ) — 5.95; 2. ი.ბადინსკი (უნგრეთი) — 5.90; 3. მ.ტარასოვი (სსრკ) — 5.85. ქალები. 400 მ.თარჯრბენი. 1. ტ.ლედოვსკაია (სსრკ) — 53,11; 2. ს.განელი (დიდი ბრიტანეთი) — 53,16; 3. დ.ვიკერსი (აშშ) — 53,47. ვაჟები. სიგრძე. 1. მ.პაუელი — 8.95 (მსოფლიო რეკორდი); 2. კ.ლუისი — 8.91; 3. ლ.მერიკსი (სამივე—აშშ) — 8,42; ათჭიდი. 1. დ.ობრაიენი (აშშ) — 88,12; 2. მ.სმიტი (კანადა) — 85,49; 3. კ.შენკი (გერმანია) — 83,94. ქალები. 200 მ. 1. კ.კრაბე (გერმანია) — 22,09; 2. გ.ტორენსი (აშშ) — 22,16; 3. მ.ოტი (იამაიკა) — 22,21. 100 მ თარჯრბენი. 1. ლ.ნაროჟილენკო (სსრკ) — 12,59; 2. გ.დევერს-რობერტსი (აშშ) — 12,63; 3. ნ.გრიგორიევა (სსრკ) — 12,69. 10000 მ. 1. ე.მაკოლგანი (დიდი ბრიტანეთი) — 31.14,31; 2. ჩჟონ ჰუნი — 31.35,08; 3. ვან სიუტინი (ორივე ჩინეთი) — 31.35,99. ვაჟები. 3000 მ.წინაღობებით. 1. მ.კიპტანუი — 8.12,59; 2. პ.სანგი (ორივე — კენია) — 8.13,44; 3. ა.ბრაჰიმი (ალჟირი) — 8.15,54. სიარული 50 კმ. 1. ა.პოტაშოვი — 3:53.09; 2. ა.პერლოვი (ორივე სსრკ) — 3:53,09; 3. ჰ.გაუდერი (გერმანია) — 3:55.14. ბირთვი. 1. ვ.გუნტჰერი (შვეიცარია) — 21.67; 2. განდერსენი — 20.81; 3. ლარსიდ-ნილსენი (ორივე ნორვეგია) — 20.75. ქალები. 1500 მ. 1. ჰ.ბულმერკა (ალჟირი) — 4.02,21; 2. ტ.დოროვსკიხი — 4.02,58. 3. ლ.როგაჩევა (ორივე სსრკ) — 4.02,72. სიმაღლე 1. ჰ.ჰენკელი (გერმანია) — 2.05; 2. ე.ელესინა — 1.98; 3. ი. ბაბაკოვა (ორივე სსრკ) — 1.96. ბადრო. 1. ც.ხრისტოვა (ბულგარეთი) — 71.02; 2. ივილუდა (გერმანია) — 69.18; 3. ლ.მიხალჩენკო (სსრკ) — 68.26. ვაჟები. 1500 მ. 1. ნ.მორსელი (ალჟირი) — 3.32,84; 2. ვ.კიროჩი (კენია) — 3.34,84; 3. ჰ. ფულბრიუგე (გერმანია) — 3.35,28. 5000 მ. 1. დ.ონდიევი (კენია) — 13.14,45; 2. ფ.ბაიეს (ეთიოპია) — 13.16,84; 3. ბ.ბუტაიბ (მაროკო) — 13.22,70. მარათონი. 1. ჰ.ტანიგუჩი (იაპონია) — 2:14.57; 2. ა.სალაჰი (ჯიბუტი) — 2:15,26; 3. ს.სპენსი (აშშ) — 2:15,36. ესტაფეტა 4X100 მ. 1. აშშ (ა.კეისონი, ლ.ბარელი, დ.მიტჩელი, კ.ლუისი) — 37,50 (მსოფლიო რეკორდი); 2. საფრანგეთი — 37,87; 3. დიდი ბრიტანეთი — 38,09. ესტაფეტა 4X400 მ. 1. დიდი ბრიტანეთი (ბლეკი, დ.რედმონდი, დ.რეჯისი, კ.აკაბუსი) — 2.57,53 (ევროპის რეკორდი); 2. აშშ — 2.57,57; 3. იამაიკა — 3.00,10. სიმაღლე. 1. ჩ.ოსტინი (აშშ) — 2,38; 2. ხ.სოტომაიორი (კუბა) — 2.36; 3. ჰ. კონვეი (აშშ) — 2.36. ქალები. ესტაფეტა 4X100 მ. 1. იამაიკა (დ.დუჰანეი, ჯ.კატბერტი, ბ.მაკდონალდი, მ.ოტი) — 41,94; 2. სსრკ — 42,20; 3. გერმანია — 48,38. ესტაფეტა 4X400 მ 1. სსრკ (ტ.ლედოვსკაია, ლ.ჯიგალოვა, ო.ნაზაროვა, ო.ბრიზგინა) — 3.18,43; 2. აშშ. — 3.20,15; გერმანია 3.21,25. შუბი. 1. სიუ დემეი (ჩინეთი) — 68,78; 2. პ.პაიერი — 68.68; 3. ს.რენკი (ორივე — გერმანია) — 66.80.**

### ᲡᲐᲡᲢᲔᲜᲓᲝ ᲡᲠᲝᲚᲐ

მსოფლიო თასის გათამაშების ... მრგვალი სტენდი. 1. ა... ვაგნერი (გერმანია) — ძირითადი ... სერია — 225 ამდენივე ... 2. ჩენი დომბ... — ასეთივე შედეგით; 3. ვლადიმერ ხოკოლოვი (სსრკ) — 222.

### ᲰᲝᲙᲔᲘ

საერთაშორისო ტურნირი „კანადის თასი". კანადა. პირველი ტური: სსრკ —ჩეხოსლოვაკია — 3:5 (0:3,0:1, 2:1); კანადა — ფინეთი — 2:2 (1:0, 1:1, 0:1); აშშ—შვეცია — 6:3 (3:0, 1:0, 2:3). მეორე ტური: სსრკ-შვეცია 2:3 (0:1, 0:1, 2:1); ფინეთი—ჩეხოსლოვაკია 1:0 (0:0, 0:0, 1:0); კანადა—აშშ 6:3

## ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲑᲔᲙᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲝᲛᲠᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲐ

უიმბლდონში გამარჯვებამ მიჰაელ შტიხს ბევრი პრივილეგია მისცა. თუმცა, „ბალახის კორტების მეფეც" შეეჯახა გარკვეულ შეზღუდვებს. კერძოდ, როცა წყდებოდა ამერიკელებთან დევისის თასის მატჩში გერმანიის გუნდის პირველი ნომრის საკითხი, უპირატესობა ყველამ ერთხმად ბორის ბეკერს მიანიჭა. ბეკერს მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატში გამოსვლის დიდი გამოცდილება აქვს. იგი უკვე ხუთი წელია ამ შეჯიბრებებში მონაწილეობს და მისი გუნდი ჯერ 1985 წელს იყო მეორე, ხოლო შემდეგ, 1988 და 1989 წლებში მთავარი პრიზიც დაისაკუთრა.

ამგვარად, გერმანიის გუნდის ლიდერის პოზიცია ბეკერს შეუნარჩუნეს. მატჩი აშშ-ის ნაკრებთან 20-22 სექტემბერს კანზას სიტიში „კემპერის" კორტებზე ჩატარდება. ამ შეხვედრას დიდი ინტერესით მოელიან, მატჩში ხომ მსოფლიოს საუკეთესო ათეულის ოთხი წარმომადგენლის ხილვას ვარაუდობენ: ბორის ბეკერი (№1), მიჰაელ შტიხი (4), გერმანიიდან, ჯიმ კურიე (5) და ანდრე აგასი (6) აშშ-დან. საინტერესოა ასეთი დეტალიც: ამ მატჩში ითამაშებს „გრენდ სლემის" მიმდინარე წლის ტურნირების ოთხი ფინალისტი; პარიზში, „როლან გაროსზე", ფინალში ერთმანეთის პირისპირ ამერიკელი ჩოგბურთელები იდგნენ, უიმბლდონში კი — გერმანელები.

## ინგლისი

მე-5 ტურის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ ლივერპულის გუნდები — „ლივერპული“ და „ევერტონი“. „ლივერპულმა“ ადვილად დაამარცხა მეტოქე — 3:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ბაროუზმა, სონდერსმა და ჰაუტონმა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ლიდსთან“ შეხვედრაში მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება (რობსონი). მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. მანჩესტერის მეორე გუნდი „სიტი“ დამარცხდა ლონდონში „არსენალთან“, თუმცა იგებდა პირველ ტაიმს. მეორე ტაიმში „არსენალის“ ფეხბურთელმა სმითმა და შვედმა ლიმპარმა ორი გოლი გაიტანეს — 2:1.

ლინეკერის ზუსტმა თავურმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „ტოტენჰემს“ ნორიჩში, ადგილობრივ კლუბთან — 1:0. სხვა მატჩები: „ჩელსი“ — „ლუტონი“ 4:1, „კოვენტრი“ — „უიმბლდონი“ — 0-1, „ნოტინგემი“ — „ოულდემი“ 3:1, „შეფილდ უენზდეი“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 4:1, „საუთჰემპტონი“ — „ასტონ ვილა“ 1:1, „ვესტ ჰემი“ — „ნოთს ქაუნთი“ 0:2, „კრისტალ პალასი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 2:1.

გუშინწინ გაიმართა მე-6 ტურის მატჩები. „ევერტონი“ — „ნორიჩი“ 1:1, „ლიდსი“ — „არსენალი“ 2:2, „ნოთს ქაუნთი“ — „შეფილდ უენზდეი“ 2:1, „ოულდემი“ — „კოვენტრი“ 2:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ჩელსი“ 0:1, „უიმბლდონი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:2, „ასტონ ვილა“ — „კრისტალ პალასი“ 0:1, „ლუტონი“ — „საუთჰემპტონი“ 2:1, „მანჩესტერ სიტი“ — „ნოტინგემი“ 2:1, „ქუინთ პარკ რეინჯერსი“ — „ვესტ ჰემი“ 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნ.“ | 6 | 4 | 2 | 0 | 7-2 | 14 |
| „მანჩესტერ სიტი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 9-6 | 13 |
| „ჩელსი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 12-9 | 11 |
| „ლივერპული“ | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| „ნოთს ქაუნთი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |

## გერმანია

მე-7 ტური. „ჰამბურგი“ — „აინტრახტი“ 2:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „ნიურნბერგი“ 3:0, „კიოლნი“ — „ბაიერნი“ 1:1, „ბოხუმი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 0:0, „დინამო“ — „შტუტგარტი“ 1:0, „შალკე“ — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 3:1, „ფორტუნა“ — „ვატენშაიდი“ 4:3, „ჰანზა“ — „ბაიერი“ 2:2, „ვერდერი“ — „დუისბურგი“ 5:1, „კიკერსი“ — „კარლსრუე“ 1:1.

წინა ტურში „კიოლნის“ „ნიურნბერგთან“ დიდი ანგარიშით (0:4) დამარცხების შემდეგ გადადგა „კიოლნის“ მწვრთნელი ერიხ რუტემოლერი. მწვრთნელის მოვალეობას დროებით კლუბის გენერალური მენეჯერი უდო ლატეკი შეასრულებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჰანზა“ | 7 | 4 | 2 | 1 | 15-8 | 10 |
| „აინტრახტი“ | 7 | 4 | 1 | 2 | 14-7 | 9 |
| „შტუტგარტი“ | 7 | 4 | 1 | 2 | 8-3 | 9 |
| „კაიზერსლაუტერნი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 10-7 | 9 |
| „ჰამბურგი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 9 |

# კლუბები უეფა-ს წინააღმდეგ

ევროპის საფეხბურთო კლუბებმა, ევროპის კომისიასთან ერთად ბრძოლა გამოუცხადეს უეფა-ს. კლუბების აზრით, ახალი წესები, რომლის მიხედვით უეფა-ს ტურნირებში გუნდებს მხოლოდ 4 უცხოელი ფეხბურთელის გამოყვანა შეუძლიათ, აიძულებს კლუბებს გაყიდონ თავიანთი საუკეთესო მოთამაშეები. ევროპის კომისია კი, რომელიც ევროპის გაერთიანების პროცესს მეთვალყურეობს, თვლის, რომ უეფა-ს ახალი წესები ზღუდავს ევროპის ფარგლებში თავისუფალ გადაადგილებას და ეწინააღმდეგება ერთიანი ბაზრის პრინციპებს, რომლებიც ძალაში 1992 წელს უნდა შევიდეს.

უეფა-ს წინააღმდეგ შეტევას სათავეში ბელგიის ჩემპიონი, „ანდერლეხტი“ უდგას. შარშან გუნდის 24 მოთამაშიდან 12 უცხოელი იყო. ახლა „ანდერლეხტი“ იძულებული გახდა 5 უცხოელი ფეხბურთელი გაეყიდა და მათ მაგივრად ბელგიელები შეეძინა.

კლუბის მწვრთნელი მიშელ ვერსხურენი ამბობს, რომ უეფა-ს წესები არარეალურია. წინათ, ფეხბურთელი, რომელიც თავის კლუბში ხუთ წელიწადზე მეტს ითამაშებდა, ანდა 17 წლამდე ასაკის ნებისმიერი ფეხბურთელი, ეროვნების მიუხედავად ბელგიელად ითვლებოდა. ახალი წესები ძირფესვიანად ცვლის „უცხოელი ფეხბურთელის“ ბელგიაში მიღებულ განსაზღვრას. უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რამდენი ხანია, რაც ფეხბურთელი ამა თუ იმ გუნდში თამაშობს.

ვერსხურენის აზრით, უეფა-ს ახალი წესები მხედველობაში არ იღებს ევროპაში მიმდინარე ცვლილებებს. „ბერლინის კედლის დანგრევა ფეხბურთსაც შეეხო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ფეხბურთელების მიგრაციამ ფეხბურთს უფრო მეტად საერთაშორისო ხასიათი მისცა“, — ამბობს ვერსხურენი.

ამავე აზრისაა შოტლანდიის ჩემპიონის „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობა. აქამდე ბრიტანეთში, სადაც ოთხი ეროვნული ნაკრებია, ფეხბურთელებს ევროპის თასებზე ნებისმიერ კლუბში შეეძლოთ გამოსვლა. ახალი წესების მიხედვით, „რეინჯერსის“ 24 ფეხბურთელიდან 10 უცხოელად ითვლება, თუმცა ბევრი მათგანი ბრიტანელია.

მაგალითად, ინგლისელ მარკ უოლტერსს ევროპის ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში გამოსვლა მხოლოდ უცხოელის სტატუსით შეეძლო. ამიტომაც „რეინჯერსმა“ გადაწყვიტა უოლტერსი ინგლისის „ლივერპულისთვის“ მიეყიდა.

„რეინჯერსის“ კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კემბელ ოუგლვი ამბობს, რომ უეფა-ს მიერ მიღებული წესები უმთავრესად ისეთი პატარა ქვეყნების კლუბებს აყენებს ზიანს, როგორიცაა შოტლანდია ან ბელგია: „მცირე ქვეყნებს ფეხბურთელთა შერჩევის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. შოტლანდიის მოსახლეობა სულ რაღაც 5 მილიონია, ინგლისისა კი 50 მილიონი“.

ევროპის კომისია თვლის, რომ ერთიანი ბაზრის შემოღების შემდეგ, რაც ევროპის თანამეგობრობის ფარგლებში მოქალაქეებს ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობის საშუალებას მისცემს, გარკვეული ცვლილებები უეფა-მაც უნდა განახორციელოს. ევროპის კომისიამ უკვე დაითანხმა უეფა მომავალი სეზონიდან უცხოელი ფეხბურთელების რაოდენობა ოთხიდან ხუთამდე გაზარდოს. თუმცა, ევროპის კომისიის აზრით, ფეხბურთში გამონაკლისის სახით დასაშვებია გარკვეული შეზღუდვები. „ბოლოსდაბოლოს, არ შეიძლება მთელი „ანდერლეხტი“ აფრიკელი ფეხბურთელებისგან შედგებოდეს“, თქვა კომისიის წარმომადგენელმა.

## ფეხბურთის რუკასთან

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-8 ტურის გამოტოვებული მატჩი: „მეცი“ — „მონპელიე“ 1:3.

არგენტინელი ფეხბურთელი ლეონარდო როდრიგესი „მარსელმა“ „ტულონს“ ათხოვა. როდრიგესი „მარსელმა“ ამ ერთი თვის წინ შეიძინა არგენტინის „სან-ლორენსოსგან“.

პარაგვაელი რობერტო კაბანიასი საფრანგეთიდან სამხრეთ ამერიკაში დაბრუნდა. კაბანიასი ორი წლის წინ იყიდა საფრანგეთის „ბრესტმა“. შემდეგ იგი მეორე ლიგის „ნიორში“ თამაშობდა, მაგრამ იქაც, ისევე როგორც „ბრესტში“, თავი ვერაფრით გამოიჩინა. ამ სეზონიდან კაბანიასი არგენტინის „ბოკა ხუნიორსში“ ითამაშებს.

იტალიის ჩემპიონატის პირველი ტური: „ასკოლი“ — „მილანი“ 0:1 (ვან ბასტენი), „ბარი“ — „ტორინო“ 1:1 („ბარის“ გოლი პენალტით გაიტანა ინგლისელმა პლეტმა), „კალიარი“ — „სამპდორია“ 3:2 („კალიარიდან“ — ფრანჩესკოლი(2), ჰერერა, „სამპდორიიდან“— სილასი, მანჩინი), „ჯენოა“ — „კრემონეზე“ 2:0, „ინტერი“ — „ფოჯა“ 1:1 („ინტერის“ გოლი ზოლამ გაიტანა), „იუვენტუსი“ — „ფიორენტინა“ 1:0 (კაზირაგი), „ლაციო“ —„პარმა“ 1:1, „ნაპოლი“ — „ატალანტა“ 1:0, „ვერონა“ — „რომა“ 0:1. ჩემპიონატის პირველი ტური მაყურებელთა უწესრიგობით აღინიშნა. შეტაკებები მაყურებელთა შორის მოხდა ტურინში, ვერონაში და გენუაში. დაკავებულია 48 კაცი. „მილანის“ პოლანდიელმა მოთამაშემ რუუდ გულიტმა კლუბებსა და ფეხბურთელებს ერთდღიანი გაფიცვისკენ მოუწოდა. გულიტი თვლის, რომ ფეხბურთელებმა ხმა უნდა აიმაღლონ ტრიბუნებზე ძალადობის წინააღმდეგ.

ესპანეთის ჩემპიონატის პირველი ტური: „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „სევილია“ 0:2, „ვალიადოლიდი“ — „სპორტინგი“ (ხიხონი) 0:1, „კადისი“ — „რეალი“ (მადრიდი) 0:1, „ტენერიფე“ — „ლოგრონიესი“ 3:0, „ვალენსია“ — „დეპორტივო“ 2:1, „ოსასუნა“ — „ალბასეტე“ 2:0, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ბურგოსი“ 2:0, „ოვიედო“ — „მალიორკა“ 0:0, „სარაგოსა“ — „ესპანიოლი“ 1:1, „ბარსელონა“ — „რეალი“ (სან სებასტიანი) 2:0.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ერნესტუ პაულუმ უელსის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის უცხოეთში მოთამაშე ხუთი ფეხბურთელი მიიწვია. ესენია: რომარიუ, კარეკა, მოზერი, რიკარდუ გომეში და ჟორჟინიუ.

შოტლანდიის ლიგის თასის გათამაშებას გამოეთიშა გლაზგოს „სელტიკი“. „სელტიკი“ პირველი ლიგის დებიუტანტმა „ეარდრიმ“ დაამარცხა. წინა წრეში „ეარდრიმ“ შეჯიბრებიდან „აბერდინი“ გამოთიშა.

17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის მსოფლიო ჩემპიონი განის ნაკრები გახდა. აფრიკელმა ფეხბურთელებმა ფინალში, რომელიც იტალიის ქალაქ ფლორენციაში გაიმართა, ესპანეთის ნაკრები დაამარცხეს 1:0. მესამე ადგილზე გავიდა არგენტინის ნაკრები, რომელმაც პენალტებით სძლია კატარის ნაკრებს 4:1 (ძირითადი და დამატებითი დრო 1:1).

## ევროპის ჩემპიონატი

### I ჯგუფი

ჩსფრ — საფრანგეთი 1:2

ბრატისლავაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ნაკრებმა პრაქტიკულად გაინაღდა ევროპის ჩემპიონატის საგზური. დარჩენილ ორ მატჩში მათ ერთი ქულიც ეყოფათ.

მასპინძლებს სხვადასხვა მიზეზის გამო აკლდათ წამყვანი ფეხბურთელები სკუჰრავი, კუბიკი, ჰაშეკი და კადლეცი. მიუხედავად ამისა, ჩეხოსლოვაკელებმა მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. ანგარიში მე-20 წუთზე ნემეჩეკმა გახსნა, II ტაიმში ფრანგები გამოცოცხლდნენ და პაპენმა ორი გოლი გაიტანა (55-ე და 90-ე წუთებზე).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 15-4 | 12 |
| ჩეხოსლოვაკეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 8 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 14-7 | 4 |
| ისლანდია | 6 | 1 | 0 | 5 | 4-7 | 2 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-19 | 2 |

## აქეთური, იქითური...

1994 წლის ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (დარბაზებში) ჩატარდება პარიზის გარეუბან ბერსიში, სპორტკომპლექს „პალე ომნისპორ“-ში. იმავე წელს პარიზში ჩატარდება უდიდესი საერთაშორისო მძლეოსნური ტურნირი, რომელიც პიერ დე კუბერტენის მიერ ოლიმპიური მოძრაობის აღდგენის 100 წლისთავს მიეძღვნება.

■ ■ ■

საცუგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ თავის რიგებში მიიღო იამაიკელები. ახალწვეულებს წაუყენეს ერთადერთი პირობა — მომავალი ორი წლის მანძილზე მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ შეჯიბრებებში, რომელსაც ეს ფედერაცია ჩაატარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხს იამაიკელთა 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ არ განიხილავენ. ეს ოლიმპიადა ნორვეგიის ქალაქ ლილეხამერში გაიმართება, ოღონდ ერთია — სად ივარჯიშებენ იამაიკელი მოცუგავეები, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

ყოველწლიურად ძლიერდება ნიჭიერი ბულგარელი სპორტსმენების „დინება“ უცხოეთისკენ. ძალოსნობის ბოლო ევროპის ჩემპიონატში, რომელიც პოლონეთში გაიმართა, თურქეთის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა შვიდი ბულგარეთში დაბადებულ-აღზრდილი სპორტსმენი. ახლახანს ავსტრალიაში სამუდამოდ საცხოვრებლად გადავიდნენ ცნობილი ძალოსნები სტეფან ბოტევი, კირილ კუნევი და სევდალინ მარინოვი.

■ ■ ■

დიდმა უეინ გრეცკიმ, რომელიც „ლოს-ანჯელეს კინგზში“ თამაშობს, უკმაყოფილება გამოთქვა პერსპექტიულ მოთამაშეთა შერჩევის სისტემის თაობაზე. ამ სისტემის მიხედვით, რომელიც დიდი ხანია ნხლ-ში მოქმედებს, კლუბებს პირველი არჩევის უფლება აქვთ. გრეცკის აზრით, ხდება რა სუსტ გუნდში, ბევრი საინტერესო მოთამაშე ბოლომდე ვერ იხსნება. ის თვლის, რომ ძლიერი მოთამაშეები ძლიერ გუნდებში უნდა თამაშობდნენ.

■ ■ ■

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მძიმეწონოსანი ამერიკელი ჯორჯ ფორმენი ვერ გამოვა 7 სექტემბერს რინგზე ბუნ პულტცთან შესახვედრად. მისი წარმომადგენლის თქმით, 48 წლის მოკრივეს დაუზიანდა მუხლი და მკურნალობა ვერ მოასწრო. ბრძოლა მაინც შედგება, ოღონდ ნოემბრის შემდეგ.

■ ■ ■

იტალიელი პრიმო ნებიოლო კიდევ ოთხი წლის მანძილზე დარჩება მძლეოსანთა მსოფლიო სამოყვარულო ფედერაციის პრეზიდენტად. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის 38-ე კონგრესმა რომელიც ტოკიოში, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გაიმართა ერთხმად დაუჭირა მხარი 68 წლის ტურინელი მეწარმის კანდიდატურას. ნებიოლო ამ პოსტზე 1981 წელს აირჩიეს.

■ ■ ■

გაისად მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა „ტურ დე ფრანსი“ საზღვრებს გაიფართოვებს. ტურის დირექტორმა ჟანმარი ლებლანმა განაცხადა, რომ 1992 წელს შეჯიბრება სტარტს ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში აიღებს, შემდეგ მრბოლელები გადაკვეთენ გერმანიას, ბელგიას, იტალიას და საფრანგეთში დაბრუნდებიან. ლებლანმა დასძინა, რომ ახლა ისინი განიხილავენ რბოლის მონაწილეთა რაოდენობის შემცირების საკითხს, რაც სპორტსმენთა უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს.

აქეთური, იქითური...



## „მუხის ფოთოლი“ პალანგაში

ლიტვის ქალაქ პალანგაში ჩატარდა ვეტერან ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ვეტერანებს წარმოადგენდა კლუბ „მუხის ფოთოლის“ წევრი ვიქტორ მესხიშვილი. მან გვიამბო, რომ ეს იყო საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანიის, აშშ-ის, არგენტინის და პოლონეთის ვეტერანი ჩოგბურთელები. მათთან ერთად გამოდიოდნენ მინსკის, რიგის და ლენინგრადის წარმომადგენლები. დაწესებული იყო საპრიზო ფონდი: პირველი ადგილისათვის 350 მანეთი და, რაც მთავარია, ჩოგნები. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ასაკობრივ ჯგუფებად: 35-დან 45 წლამდე, 45-დან 55-მდე და ზემოთ. ვიქტორ მესხიშვილი თავის ასაკობრივ ჯგუფში პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და შემდეგ მონაწილეობა მიიღო ხანუგეშო ტურნირში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა. სექტემბერში, ვეტერანთა ტურნირი თბილისშიც გაიმართება.



## ოქრო-ვერცხლი ვარშავიდან

ასოციაცია „ფალავანის“ სპორტკლუბ „მთაწმინდას“ ახალგაზრდა ძიუდოისტებმა ამ დღეებში მონაწილეობა მიიღეს ვარშავაში გამართულ საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში და შინ ექვსი მედლით დაბრუნდნენ.

— პოლონეთის დედაქალაქში ევროპის 12 ქვეყნის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებმა იასპარეზეს, — გვითხრა ასოციაცია „ფალავანის“ პრეზიდენტმა გოდერძი ველიჯანაშვილმა, — ჩვენს სპორტულ დელეგაციაში 11 ძიუდოისტი იყო. ჭაბუკთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილზე გავიდა 5 ქართველი ფალავანი. ოქროს მედალი მიიღო სოსო ლიპარტელიანმა (78 კგ), ვერცხლისა — ირაკლი უზნაძემ (78 კგ.) და დავით ბექაურმა (მძიმე წონა), ბრინჯაოსი — ალექსანდრე ღვინიაშვილმა (71 კგ.) და ჯონდო დაბრუნდაშვილმა (მძიმე წონა). გოგონათა ტურნირში თავი გამოიჩინა ენძელა სოლოღაშვილმა, რომელიც მესამე იყო 72 კგ. წონის ძიუდოისტთა შორის. კარგად იჭიდავეს აგრეთვე მაია გობეჯიშვილმა და ქეთინო ნატროშვილმა.

ძიუდოს ქართული სკოლა, როგორც ცნობილია, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოში. ჩვენს კლუბთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს ევროპის მრავალი ქვეყნის წარმომადგენლებმა. ბერძნებმა, მაგალითად, შემოგვთავაზეს ერთობლივი საწვრთნელი შეკრების მოწყობა. ასეთივე წინადადებებით მოგვმართეს ავსტრალიელებმა. ერთი სიტყვით, გამოჩნდა პერსპექტივა, რომ სისტემატური კონტაქტები გვქონდეს ჩვენს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან. რაკი ჯერჯერობით ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის საშუალება არა გვაქვს, ამგვარ კონტაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

„სარბიელის“ სპონსორია ასოციაცია „ფალავანი“

PALAVANI • ПАЛАВАНИ

ფალავანი

გამოდის პარასკეობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380036, კოსტავას ქუჩა №14.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.

სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.

კომერციული დირექტორი შოთა ფულუხაძე.